პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 2 ივლისი № 152 (17795) ფასი 2 კაპ.

ინიციატივა

ზვრები ვიხილოთ, მეზვრეც მოვიკითხოთ!

ერთიანული

□ ახალი წარმატებებით შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას!

□ მეზობლის ვენახი დავათვალიეროთ, მოწინავის გამოცდილება გადმოვიღოთ, ჩამორჩენილებს ვასწავლოთ, როგორ მიიღონ უხვი მოსავალი!

ივნისის პლენუმმა ჩვენი პარტიის მომავალი ყრილობის მოწვევის თარიღი დაასახელა. 1981 წლის 23 თებერვალს მუშაობას დაიწყებს სკკპ XXVI ყრილობა. ეს ყრილობა უკვე გახდა ჩვენი ყოველდღიური შრომის ორიენტირი. ახლა მისკენაა მიმართული ჩვენი საქმეები, გეგმები, აზრები.

მომავალი ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მთელი ძალით უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, ყოველი ღონისძიებით უნდა ვიბრძოლოთ, რომ მეათე ხუთწლედის ყველა დავალება თავის დროზე და გადამეტებით შესრულდეს. ამით მტკიცე საფუძველს ჩავუყრით მეთერთმეტე ხუთწლედს.

ივნისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „**განვლილი წლების მანძილზე ჩვენ კომუნისტური მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი გამოცდილება შევიძინეთ. მზრუნველად უნდა გამოვიყენოთ ყოველივე ის დადებითი, რაც კი რამ გვაქვს ჩვენს მუშაობაში — ქალაქად თუ სოფლად.**

ამასთანავე კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს მეურნეობრიობის და, კაცმა რომ თქვას, პარტიული მუშაობის პრაქტიკაში“.

ბუნებრივია, რომ ამ ამოცანას ვერ გადავწყვეტთ, თუ არ განვავითარეთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. პარტია კვლავაც დაამანდებს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან სახსრებს. ამავე დროს საჭიროა უზრუნველვყოთ სახსრებისა და ტექნიკის რაციონალური გამოყენება, მივაღწიოთ, რომ სოფლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება ხელს უწყობდეს სასურსათო საქონლით ქვეყნის მომარაგების გაუმჯობესებას. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა უზრუნველვყოთ მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა. ახლა საჭიროა კარგად მოვემზადოთ და დავამთავროთ მოსავლის ასაღები სამუშაოები, უზრუნველვყოთ 1980 წლის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულება.

ახლა საზოგადოებრივ და საკარმიდამო ვენახებში წყდება 770 ტონა ყურძნისათვის ბრძოლის ბედი. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით 100-120 ათასი ტონა ყურძენი დაკარგეთ ქვეყანას.

ჩვენ, გურჯაანის რაიონის მევენახეებმა მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გადავწყვიტეთ სახელმწიფოს მივყიდოთ 185 ათასი ტონა ყურძენი. ამით ხუთწლედის წინა წლების დანაკლისს დავფარავთ და გადამეტებით შევასრულებთ ხუთწლედის დავალებას. ჩვენი სიტყვა საქმედ რომ ვაქციოთ, გადავწყვიტეთ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გაორმაგებული ენერგიით ვიშრომოთ, ყოველი ვაზიდან მივიღოთ იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია. ამისათვის ამჟამად საჭიროა მწკრივთაშორისებში მიწა დროულად და აგროწესების დაცვით გავაფხვიეროთ, ვაზებში არ გავაჭაჭანოთ სარეველები, მავნებელ-დაავადებებს ვებრძოლოთ ყოველგვარი ქიმიური საშუალებებით, დროზე გავფურჩნოთ ვაზი, ავაბეოთ, წვერები წავაწყვიტოთ, ვენახები მოვრწყათ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ წყლის რესურსები, რომ მტევნები დამსხვილდეს და დაშაქრდეს.

ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით გადავწყვიტეთ ზვრების მომავალი დათვალიერება გადავაქციოთ სიუხვის დათვალიერებად. რაიონის მოწინავე მევენახეები და სპეციალისტები მივალთ მეზობლის ზვრებში, ყოველ ნაკვეთს გულდასმით დავათვალიერებთ, მოწინავეს მარჯვენას დავულოცავთ, მის გამოცდილებას გავავრცელებთ, ჩამორჩენილ მევენახეებს თავიანთი ზვრებშივე პირში ვეტყვით ნაკლს და ამასთან გავაცნობთ, ვასწავლით, თუ რა დაკლო ვაზს და როგორ უნდა იშრომოს მოწინავეთა მაგალითით, რომ დარჩენილ დროში ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით უხვი მოსავალი მიიღონ. ამასთან იდეოლოგიის, მედიცინის, საზკვების, ვაჭრობის მუშაკებს ვთხოვთ ჩვენდამი დიდი გულისხმიერება გამოიჩინონ.

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო სახელოვანო მევენახეებო, ნუ დავიზარებთ მეზობლის ზვრებში მისვლას, ვნახოთ ვენახები, ჩამორჩენილები გავკიცხოთ, ვასწავლოთ როგორ გამოასწორონ ნაკლი, რომ მოკლე დროში თავი დააღწიონ ვაზის მოვლა-პატრონობის საქმეში არსებულ ჩამორჩენას.

ხალხს უთქვამს: კარგი ჰქენი—ქვას დადევი, გადარე—წინ დაგხვდებაო. კარგი საქმე არასოდეს არ იკარგება. ამიტომ ყველა **მევენახეს მოვუწოდებთ: როგორც საზოგადოებრივ ისე საკარმიდამო ვენახებს, მოწინავეთა მაგალითისამებრ, თვალიხჩინებით მოვუაროთ, მივიღოთ ყურძნის უხვი მოსავალი, გადამეტებით შეკასრულოთ წლევანდელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალება, ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდეთ ჩვენი პარტიის XXVI ყრილობას!**

მ. მეძველიშვილი — სოციალისტური შრომის გმირი, **ა. გოგინაშვილი** — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის ბრიგადირები, **ძ. ბურდიანაშვილი** — სოციალისტური შრომის გმირი, **გ. კენკიშვილი** — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ჩუმლაყის კოლმეურნეობის ბრიგადირები, **მ. მარჩილაშვილი** — შრომის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, ლენინის ორდენოსანი.

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

ყველანი — საყრილობო შრომით ვახტზე!

ლაპარაკია — და ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს — ენერგიის მაქსიმუმი მოვახმაროთ იმ საქმეს, რომ წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა, დროულად ავამოქმედოთ ასამუშავებელი ობიექტები, უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობა 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს. აქ, რა თქმა უნდა, თავისი როლი უნდა შეასრულოს ყრილობის აღსანიშნავმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე წარმოთქმული ეს სიტყვები რესპუბლიკის მშრომელებმა აიტაცეს, როგორც შემდგომი მოქმედების საბრძოლო დევიზი.

მართლაც რომ დიდია მეათე ხუთწლედის მიღწევათა მასშტაბი, ბევრი რამ გაკეთდა სკკპ XXV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე შემუშავებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის. ამაზე მეტყველებს მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში რესპუბლიკის მშრომელების მიერ სახალხო მეურნეობაში მოპოვებული წარმატებანი. მიღწეული კარგი საფუძველია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ზრდისათვის, რომ წარმატებით მოვუმზადოთ მატერიალური და ტექნიკური ბაზა მეთერთმეტე ხუთწლედს.

დასახული პროგრამის განხორციელების მძლავრი ბერკეტია სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ყველა პირობას ქმნის, რათა ადამიანმა გამოავლინოს პირადი „მე“; დაეუფლის და სრულყოს არჩეული პროფესია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მშობლიური კოლექტივის წინაშე დასახული სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, შექმნას მატერიალური დოვლათი, შემოქმედებითს მეტოქეობაში გამოიწვიოს თავისი კოლეგა და მასთან ერთად იზეიმოს ალალი შრომით გამოწვეული სიხარული. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას წითელი ზოლივით გასდევს სოციალიზმის პრინციპი — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით“.

შეჯიბრების ძალა მის მონაწილეთა შემოქმედებითს აქტიურობაშია ჩაქსოვილი. ამიტომ არის, რომ ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონებს, ჩვენს მშრომელებს, გული შესტკივათ თავიანთი კოლექტივის, მთელი საზოგადოების საქმეებისათვის, დღენიადაგ ცდილობენ ამრავლონ ხუთწლედის წარმატებანი. თითოეული მათგანი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების უთუოდ შესრულებას თავის იმედებს, საზრუნავს, პირად გეგმებს. მათ იციან, რომ ამ პროგრამის განხორციელება განუყოფელია ჩვენი სამშობლოს საერთო აზოცანებისაგან, მისი მატერიალური და სულიერი ძალების შემდგომი განვითარების პერსპექტივებისაგან. ცხადია, რაც უფრო მეტ ბარაქას შეექმნით და ძლიერი გახდება ჩვენი ქვეყანა, მით უფრო მეტი შესაძლებლობანი გადაიშლება თითოეული მოქალაქის წინაშე, მით უფრო ამაღლდება დიდისა თუ პატარის კეთილდღეობის დონე.

ამიტომ სოციალისტური შეჯიბრება, მის მონაწილეთა ინიციატივა, ენერგია, ღირსეულ გამოსავალს უნდა პოულობდეს, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავდეს ეკონომიკის წამყვანი დარგების — ტრანსპორტის, სათბობი ინდუსტრიისა და ენერგეტიკის, მეტალურგიის განვითარებას, სასალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას. შეჯიბრების მონაწილეთა თვალთახედვის არეში მუდამ უნდა იყოს რესურსების უმკაცრესი მომჭირნეობის, შრომისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფის, ყოველივე იმის დანერგვის საკითხები, რასაც მეცნიერება და მოწინავე პრაქტიკა იძლევა.

მდიდარია შრომის წარჩინებულთა რესპუბლიკური გალერეა. ვამაყობთ იმით, რომ დღეს შრომის ნოვატორები ყოველ დარგში მრავლად არიან. თითოეული კოლექტივის ღირსების საქმეა მხარი უჭიროს მათ, განუხრელად მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს მეათე ხუთწლედის დავალებანი.

ამ გალერეის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვახტანგ ემნაძე.

სკკპ XXV ყრილობის მონაწილე, იგი ერთ-ერთი პირველი დადგა პარტიის მორიგი დიდი ფორუმის ღირსეული შეხვედრისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე. ვახტანგ ემნაძეს ჩვენში იცნობენ, როგორც ალალ-მართალ კაცს, შრომამ რომ წარმოაჩინა და ქვეყნის ღირსეული შვილი გახადა. მან პირადი ხუთწლედი შარშან ნოემბერში შეასრულა, ახლა 1981 წლის მაისის ანგარიშში მუშაობს. მაგრამ ეს უბრალო შრომა და ვალის მოხდა როდია: წარჩინებული მძღოლი ყოველთვის ახლის ძიებაშია, ავლენს ახალ-ახალ რეზერვს. ჯერ იყო და, მუშაობის დევიზად გაიხადა „ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში!“, შემდეგ მისი წინადადებით რესპუბლიკის სატრანსპორტო საწარმოების კოლექტივებს შორის გაჩაღდა შრომითი მეტოქეობა მანქანის რესურსების ამაღლებისათვის. შედეგიც საუკეთესო მიიღო. მისმა მანქანამ „ზილ-მმზ 555“ 1972 წლიდან დღემდე 710 ათასი კილომეტრი გაიარა კაპიტალური რემონტის გარეშე. ეს ორჯერ აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

ბუნობრ რიტმსა და შეთანხმებულობის შესანიშნავ მაგალითს მუშაობაში გვიჩვენებენ თბილისის ტროიტაყის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ პირველი კონვეიერული ბრიგადის წევრები, რომელთა ბრიგადირია ციხანა სურგულაძე. ბრიგადამ მეათე ხუთწლედის დავალება შარშან 7 ნოემბრისათვის შეასრულა და მას შემდეგ ტროიტაყის ნაწარმს მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში ამზადებს. ახლა ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს მომავალი წლის პირველი კვარტალის გეგმა XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის — 23 თებერვლისათვის შეასრულონ. ამის უთუო გარანტიაა დაკისრებული საქმისათვის მკერავთა დიდი პასუხისმგებლობა, შრომის მტკიცე დისციპლინა.

რაც უფრო მეტია წესრიგი წარმოებაში, რაც უფრო უკეთესია შრომის ორგანიზაცია, მით უფრო სტაბილურია კოლექტივი, დიდია მისი მუშაობის შედეგები. საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ კოლექტივმა წლიულს 6 თვეში გეგმის გადაჭარბებით მომზმარებელს მიაწოდა 147 ათასი მანეთის პროდუქცია, ამასთან სახელმწიფო ხარისხის ნიშნით დაამზადა 34 მოდელის ტროიკოტაჟის ნაწარმი, რაც მთლიანად გამოშვებული პროდუქციის 60 პროცენტს უდრის.

მეათე ხუთწლედში ჩვენ კაპიტალურ ამოცანად დავისახეთ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება და ეს ამოცანა ნიადაგ ყურადღების ცენტრში უნდა გვქონდეს. კვლავაც უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვამტკიცოთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა.

ამიტომ არც ერთი სასარგებლო თაობრობა, პროგრესულის თუნდაც უმცირესი ულორტი არ უნდა დარჩეს საწარმოთა ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების გარეშე. სწორედ გაბედული თაობრობის, საზრიანობის მასობრივი გამოვლენა მიაჩნდა დიდ ლენინს შეჯიბრების არსად, უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა არხი, რომლებიც ფართო გზას მისცემს ქვემოდან მომავალ ინიციატივას.

იწყება საყოველთაო სახალხო ლაშქრობა ახალი ეფექტიანობისა და ხარისხის ნიშნით. ეს საბჭოთა ხალხის, მისი განუყოფელი ნაწილის — საქართველოს მშრომელთა შესანიშნავი ტრადიციის კიდევ ერთი გამოვლინებაა. ამიტომ დღეს ჩვენი მოქმედების დევიზია — ყველანი საყრილობო ვახტზე!

მოწინავეთა რიგებში

თბილისის მუსიკალური კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის კოლექტივმა ბევრი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის სიძნელე დაძლია და ახლა მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ადმინისტრაციისა და პარტორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად ამაღლდა შრომის დისციპლინა და წარმოების კულტურა.

განვლილ ხუთ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 29 პროცენტით გაიზარდა. გაიდიდა საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის ხვედრითი წილიც წარმოების საერთო მოცულობაში.

სურათზე: პიანინო „ივერიის“ ამწყობი უბნის მოწინავენი (მარცხნიდან) ვ. კულუმბეგაშვილი, ნ. ფეიძრიშვილი, ვ. ნავარდაშვილი, ა. მაიდესიანი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

470 ათასი ტონა ჩაისათვის!

დაძლეულია შარშანდელი ზღუდე!

მიღწეულია სანუკვარი მიზანი, რომელსაც მეჩაიეები ალოობის დაწყებისთანავე ესწრაფოდნენ. შრომის კარგი ორგანიზაციის შედეგად შარშანდელთან შედარებით ლიკვიდირებულია ჩამორჩენა ნედლეულის დამზადებაში, რაც რთული და გაჭიანურებული გაზაფხულით იყო გამოწვეული. მეჩაიეებმა, რომლებმაც ერთ დღეში — 29 ივნისს 5 ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, მიმლებ პუნქტებს ჩააბარეს 224.120 ტონა ჩაის ფოთოლი — 180 ტონით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს.

წარმატებით დაიწყეს სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავი დამკვრელური ვახტი მახარაძის, ცხაკაიას, ვანის, ხობის, სამტრედიის, გალის, გულრიფშის, სოხუმისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების, ქალაქ ჭიათურის ზონის მეჩაიეებმა. მათ სამშობლოს უპატაკეს, რომ შეასრულეს ჩაის ფოთლის წარმოების მაის-ივნისის ეტაპი.

ჩაის ნედლეულის კრეფაში თავდადებული შრომის პლანტაციატრანსპორტი-ფაბრიკის კონვეიერის შეუფერხებელი მუშაობის მაგალითს უჩვენებენ რესპუბლიკის მეჩაიეობის ფლაგმანის—მახარაძის რაიონის მშრომელები.

ახალი თაოსნობის ინიციატორებმა: „შეტი ჩაი სეზონის პირველ ნახევარში“, მახარაძელებმა სახელმწიფოს ჩააბარეს ორმოცი ათას ტონაზე მეტი ნედლეული—სოციალისტური ვალდებულების თითქმის ნახევარი.

მახარაძელთა წარმატება, ისევე როგორც შარშან, არის კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების ფართო გავრცელების, ყველა იმ სამსახურის ზუსტი ურთიერთმოქმედების შედეგი, რომლებზეც მტნაკლებად დამოკიდებულია სამუშაოთა დღიური ნორმების შესრულების ბედი.— მეჩაიეები აჩქარებენ სამუშაოთა ტემპს, რათა მომავალი სკკპ XXVI ყრილობა აღნიშნონ ახალი მიღწევებით დარგის განვითარებაში, შეასრულონ სპატიო ვალდებულება — მისცენ სამშობლოს სულ ცოტა 460-470 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. (საქინფორმი).

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება

30 ივნისს კრემლში მოლაპარაკებას შეუდგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ჰელმუტ შმიდტი, ფედერალური კანცლერის მოადგილე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი.

გაიმართა გულახდილი და საფუძვლიანი აზრთა გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკვანძო საკითხებზე, აგრეთვე სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრული ხასიათი, რომლის მიზანია უზრუნველყოს საყოველთაო მშვიდობა და უშიშროება, ხელი შეუწყოს დაძაბულობის შენელების, როგორც საერთაშორისო განვითარების წამყვანი ტენდენციის შენარჩუნებას 80-იან წლებშიც. მან საჭიროდ ცნო განუხრელად გაგრძელდეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირით დაწყებული პროცესი, გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები საბოლოო აქტის ხელმომწერ სახელმწიფოთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების მიზნით. ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენციის მოწვევის საკითხებს, რომელიც შეიძლება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყოს ევროპის კონტინენტზე მშვიდობის განმტკიცებაში.

როცა შეეხო ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებას, მან დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს ისეთ მოწესრიგებას, რომელიც შეესაბამება პრინციპს — ვნება არ მიაყენონ არც ერთი მხარის უშიშროებას. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ მზად არის ყველაფერი იღონოს, რათა ვენის მოლაპარაკება უფრო აქტიურად და კონსტრუქციულად წარიმართოს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის გარკვეულ წრეებში არსებული წარმოდგენა ევროპეთის ამბების გარშემო გამომდინარეობს არა ფაქტებიდან, არამედ ამ მოვლენებისადმი წინასწარ აკვიატებული დამოკიდებულებიდან. გარემოებანი კი ისეთნაირად ვითარდებოდა, რომ საბჭოთა კავშირს არ შეეძლო არ დახმარებოდა მეგობარ მეზობელ ქვეყანას იმ მომენტში, როცა საფრთხე შეექმნა მის დამოუკიდებლობას.

ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ევროპეთთან დაკავშირებული საკითხის პოლიტიკურ მოწესრიგებას ევროპეთის მთავრობის შესაბამის წინადადებათა საფუძველზე. პოლიტიკური მოწესრიგების კონტექსტით, რაზეც ლაპარაკია, გადაწყდება ევროპეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხი.

ჰ. შმიდტმა აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას სურს არ დაუშვას საერთაშორისო დაძაბულობის ესკალაცია, მისი გავრცელება ახალ სფეროებსა და რაიონებზე. მან თქვა, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განგრძობა აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დიდმნიშვნელოვანი მიზანია, და მხარი დაუჭირა კონტაქტების შენარჩუნებასა და დიალოგის განგრძობას, რათა გაფართოვდეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის თანამშრომლობის ფარგლები.

ფედერალურმა კანცლერმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას განზრახული აქვს ხელი შეუწყოს პროგრესს მიღწევას განიარაღების საქმეში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, თქვა მან, დაინტერესებულია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაციით, აგრეთვე ვენის მოლაპარაკების წარმატებული უზრუნველყოფით.

მხარეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და შეფასებანი მსოფლიოს ცალკეულ რაიონებში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

(დასასრული მე-2 გვ.).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰაგენსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 30 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰელმუტ შმიდტის პატივსაცემად.

ფედერალურ კანცლერთან ერთად სადილად იყვნენ ფედერალური კანცლერის მოადგილე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ.-დ. გენშერი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში გ.-გ. ვიკი, სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრომინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სადილზე სიტყვა წარმოთქვა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ბატონო ფედერალურო კანცლერო!

პატივცემულო ბატონო ფედერალურო მინისტრო!

ამხანაგებო!

ჩვენი მორიგი შეხვედრა, ბატონო კანცლერო, სავსებით მომწიფდა. საკმარისად დაგროვდა გასახილველი საკითხები. დღეს უკვე შევუდექით ამ სამუშაოს.

ალბათ, არავის გაუკვირდება, რომ ჩვენ უმთავრეს ყურადღებას საერთაშორისო საკითხებს მივაპყრობთ. მსოფლიოში რთული ვითარებაა. დედამიწის ხან ერთი,

(დასასრული მე-2 გვ.)

სურათზე: მოლაპარაკების დაწყების წინ.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საკდესის ცნობა

სატვირთო ხომალდის შეპირაპირება

1980 წლის 1 ივლისს მოსკოვის დროით 8 საათსა და 53 წუთზე ავტომატური სატვირთო სატრანსპორტო ხომალდი „პროგრეს-10“ შეუპირაპირდა „სალუტ-6“—„სოიუზ-36“ ორბიტულ პილოტირებულ კომპლექსს.

კოსმოსური აპარატების მიდგომისა და შეპირაპირების პროცესებს კონტროლს უწევდა ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟი — ამხანაგები პოპოვი და რიუმინი.

სატვირთო ხომალდმა ორბიტაზე მიიტანა მოწყობილობა, აპარატურა, მასალები ეკიპაჟის სიცოცხლის უზრუნველყოფისა და მეცნიერული კვლევის და ექსპერიმენტების განგრძობისათვის, სათბობი სადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარისათვის, აგრეთვე ფოსტა.

კოსმონავტები ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად ვრძნობენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1980 წლის 1 ივლისს 75 წლისა გარდაიცვალა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი

არჩილ ესტატეს ძე ჩხარტიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ა. ე. ჩხარტიშვილის დაკრძალვის მოსაწყობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა მთავრობის კომისია, რომელშიც შედიან ამხანაგები ო. ვ. თქვთაქიშვილი (თავმჯდომარე), გ. გ. აბაშიძე, დ. ა. ალექსიძე, ი. ო. ანდრიაძე, ნ. ს. გურაბანიძე, ნ. ვ. გურგენიძე, დ. ვ. კიტია, გ. დ. ლორთქიფანიძე, რ. ს. მიმინოშვილი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის პატივსაცემად

(დასასრული)

ნან მეორე რაიონიდან განგაშის ...ოგნალი გაისმის, მართალია, ფა...თო კონფლიქტების საფრთხეს ...ავიდან ვიცილებთ ხოლმე, მაგ...ამ საწვავი მასალა მაინც რჩება, ...ოგან კი კიდევ გროვდება.

გულწრფელი არ ვიქნები, თუ ...ეტყვი, ჩვენი შეხდულებანი ...ველაფერში ემთხვევიან ერთმა...ეთს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ...ვენ ერთსულოვანნი ვართ მთა...კარში, სახელდობრ შემდეგში: ...არ უნდა დავუშვათ, რომ დაძა...ულობის შენელების პოლიტიკას ...ენება ადგებოდეს.

უკანასკნელი ათი წლის მანძილ...ზე კონფლიქტური სიტუაციე...ბის მოწესრიგებმა, დავისა და ...უთანხმოების მოგვარების დიდ...ნშვნელოვანი გამოცდილება ...მევიძინეთ. მნიშვნელოვანწილად ...ავალეთ „ცივი ომის“ ინერცია. ...ამ გზის შესანიშნავი ნიშანსვეტი ...იყო ჰელსინკის სრულიად ევრო...პის თათბირი. მთელი მსოფლიოს ...ადამიანებმა, განსაკუთრებით — ...ევროპაში, შვებით ამოისუნთქეს. ...ათ იგრძნეს, რომ ომის მაჯლა...ჯუნა აღარ ადგათ თავზე.

და მაინც, კიდევ არიან გავლენიანი ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ ასეთი ვითარება, რომლებსაც არად ეპიტნეტებათ დაძაბულობის შენელება. მათ ამოძრავებთ თავიანთი საწადელი, რომ გაალვივონ კრიზისები, კიდევ უფრო დაიჩქარონ გამალებული შეიარაღება, მაგრამ მათივე უბირისპირდება დიდი ძალა — ეს ძალა გახლავთ ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი. იგი მუდმივია და ვერავინ გაბედავს მის არარად ჩაგდებას.

გამალებული შეიარაღების გაძლიერების ახალ-ახალი ცდების წინაშე ჩვენ მიგმართავთ დასავლეთს და დაბეჯითებით მოვუწოდებთ შეჩერდეს, განზე გადადოს „დამატებითი შეიარაღების“ ნაირ-ნაირი პროგრამები. ხელი აიღოს ახალ სახეობათა და სისტემათა იარაღის შექმნაზე, იქნება ეს რაკეტული, ნეიტრონული, ქიმიური თუ ნებისმიერი სხვაგვარი იარაღი.

გადასაწყვეტ საკითხებს განეკუთვნება საშუალო სიშორის იარაღის საკითხიც. ხვალ ამის თაობაზეც ვიმსჯელებთ. მინდა გამოვთქვა იმედი, რომ პროდუქტიული დიალოგი გვექნება. რეალისტურ პოლიტიკაში არ შეიძლება იყოს გამოუვალი სიტუაციები, თუ რა თქმა უნდა, მათ ხელოვნურად არ შეექმნით.

ბატონო ფედერალურო კანცლერო!

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას ყოველ კარგა ხანია თვალსაჩინო ადგილი უკავია საერთაშორისო ცხოვრებაში. დაძაბულობა, ჩვენ შორის რომ იყო წარსულში, საგრძნობ დაღს ასვამდა ევროპის ვითარებას. და, პირიქით, როცა 10 წლის წინათ მოსკოვის ხელშეკრულება დაიდო, ამ მოვლენას სამართლიანად უწოდეს ახალი ისტორიული პერიოდის — კონტინენტზე მრავალმხრივი კონსტრუქციული თანამშრომლობის პერიოდის პროლოგი, ვგონებ, სამართლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვლილ ათწლეულში დრო უქმად არ დაგვიკარგავს.

წინანდელი, მძიმე წლების დანაღექი გამოარღვია ახალმა აღმონაცენმა — ერთმანეთზე ახლებურმა წარმოდგენამ. ეს წარმოდგენა დაფუძნებულია მხარეების კანონიერი ინტერესებისა და იმ ცხადზე უცხადესი ფაქტის გაგებაზე, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარგი ურთიერთობა — ეს სიკეთეა როგორც ორივე ქვეყნის ხალხების, ისე მთლიანად ევროპისთვისაც.

ვიზიტის დროს ხელი უნდა მოვაწეროთ ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის ძირითად მიმართულებათა გრძელვადიან პროგრამას. მსოფლიო კონიუნქტურის ცვლაებლობის პირობებში ეს სოლიდური წვლილია როგორც ორმხრივი სამეურნეო ურთიერთობის განმტკიცებაში, ისე ალბათ, საერთაშორისო ეკონომიკის სტაბილიზაციაშიც.

არ გეგონოთ, ვცდილობდეთ იდეალურად წარმოვისახოთ ყოველივე, რაც საბჭოთა კავშირდასავლეთ გერმანიის ურთიერთობას ეხება. უკანასკნელ ხანს, და უნდა ითქვას, — არა ჩვენი მიზეზით, აქ გარკვეული შეფერხებები იყო. ამასთანავე მინდა გავიმეორო ისიც, რაც დღეს უკვე მოგახსენეთ. სოციალურ სისტემათა განსხვავებისა და სხვადასხვა კავშირთა წევრობის მიუხედავად, ორივე ქვეყანას შეუძლია ბუნებრივი პარტნიორები იყვნენ იმ დიდი და რთული ამოცანების გადაწყვეტისას, რომელთაც ცხოვრება აყენებს საერთაშორისო გაერთიანების წინაშე.

70-იანმა წლებმა ჩვენ შეგვმატა რწმენა, რომ დაძაბულობის შენელების არსება გრძელია, რომ ძალგვიძს ხალხთა მშვიდობიანი მომავალი მკვიდრ საძირკველზე დავაფუძნოთ. საბჭოთა ხალხი თავისი მისწრაფებებით, თავისი საქმეებით ამ მიზნებისაკენ მიიწევს, ჩვენ მზად ვართ გავაფართოოთ უკვე ნაცადი და გაკვალული ახალი გზები, რომლებიც მოგვიტანს თანხმობას და თანამშრომლობას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ასევე ყველა იმ სხვა სახელმწიფოსთან, ვინც ამის მოსურნე იქნება.

ვადღეგრძელებ ბატონ ფედერალურ კანცლერს!

გამარჯვება ვუსურვებ ბატონ ფედერალურ საგარეო. საქმეთა მინისტრს!

დამკვიდრებულიყოს მშვიდობა და დაძაბულობის შენელება ევროპაში, კვლავაც ეთანამშრომლოთ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას!

• • •

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჰ. შმიდტმა.

• • •

ლ. ი. ბრეჟნევისა და ჰ. შმიდტის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა (საკვლევი).

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება

(დასასრული)

დაადასტურეს, რომ ორივე მხარეს განზრახული აქვს განაგრძონ თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში, ერთგულად დაიცვან მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულება, 1978 წლის 6 მაისის ერთობლივი დეკლარაცია, ეკონომიკური შეთანხმებანი და მორიგებანი სხვა დარგებში.

• • •

1 ივლისს დღისით კრემლში გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილის, საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრის ჰ.—დ. გენშერის მოლაპარაკება.

განიხილეს გამალებული შეიარაღების შეზღუდვის ზოგიერთი საკითხი. ამასთან ყურადღება დაეთმო საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის საკითხებზე მორიგების მიღწევის პერსპექტივებს.

ორივე მხარემ შესაბამისად შეაფასა ამ დარგში შექმნილი ვითარება. აღინიშნა აგრეთვე, თუ რა აქტუალური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაციას.

ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა მოსაზრებანი, რომლებიც გამოხატავს საბჭოთა კავშირის უცვლელ ნებას არ დაუშვას ევროპის ჩათრევა გამალებული შეიარაღების ახალ საშიშ დაჩქარებაში.

ორივე მხარემ საჭიროდ ცნო, რომ მიაგნონ ისეთ მოწესრიგებას, რომელიც შეესაბამება თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპს.

შეხვედრამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

(საკვლევი).

როგორი ეუშა სჭირდება ხუთწლედს?

ამის შესახებ გაიმართა საუბარი საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა აქტივთან ამხანაგ

ე. ა. შევარდნაძის შეხვედრაზე

თავდაკირავლად მოვიყვანთ ციფრებსა და ფაქტებს, რომლებიც შეხვედრაზე იყო დასახელებული. მაღალი კვალიფიკაციის ნახევარ მილიონამდე მუშა მოამზადა ორმოცი წლის არსებობის მანძილზე საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემამ. 118 ათასი ახალგაზრდა მუშა მისცა მან სახალხო მეურნეობას მარტო მეათე ხუთწლედში. მოკავშირე რესპუბლიკების მონათესავე სისტემებს შორის პირველი იგი გადავიდა მთლიანად საშუალო განათლების მუშათა მომზადებაზე. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის, 1979 წლის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მან დაიმსახურა მაღალი ჯილდო — სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა აქტივთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის შეხვედრაზე მარტო მიღწევებზე როდი იყო სჯა-ბაასი. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ტ. რიგვავამ, სასწავლებელთა დირექტორებმა, მინისტრებმა თავიანი ყურადღება დაუთმეს მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადების შემდგომი სრულყოფის პრობლემებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. კ. შარტავა.

სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, აღინიშნა შეხვედრაზე, მკვეთრად ცვლის თანამედროვე წარმოების ხასიათსა და სახეს. მოვამზადოთ კვალიფიციური მუშა — ნიშნავს მივცეთ მას ისეთი ცოდნის მარაგი, რომელიც ხელს შეუწყობს სწრაფად დაეუფლოს მექანიზმებსა და ტექნოლოგიას, შრომის პროგრესულ ნერხებს და შეეგუოს სულ უფრო გართულებული საწარმოო და ფსიქოლოგიური ამოცანების გადაწყვეტის ვითარებას.

ყოველივე ეს სასწავლებელთა კოლექტივებს ავალებს დღენიადაგ სრულყონ სწავლების შინაარსი და მეთოდიკა, მიაღწიონ ზოგადსაგანმანათლებლო და გამოყენებითი დისციპლინების ორგანულ ერთიანობას. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქვეყნისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების იმ ამოცანების მიხედვით, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დასახეს.

მეთერთმეტე და მომდევნო ხუთწლედებისთვის რესპუბლიკაში დასახულია უნიკალური სამრეწველო კომპლექსების მშენებლობის ვრცელი პროგრამა, სოფლის მეურნეობის გადაყვანა ინდუსტრიულ რელსებზე. ამ პროგრამის განხორციელება ძალუძთ მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის მუშებს.

საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემამ უნდა გადაწყვიტოს სერიოზული პრობლემები. სასწავლებლები მოამზადებენ ოცზე მეტი ახალი სპეციალობის მუშებს, კერძოდ, გამომთვლელი მანქანების ოპერატორებს, მიკროსქემებისა და ნახევარგამტარიანი ხელსაწყოების ამწყობებს, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ზეინკალ-მემონტაჟეებს და სხვ.

სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და გამმტკიცების მიუხედავად, აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. არსებული ბაზა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხოლოდ 45 პროცენტის საწარმოო სწავლებას, დანარჩენები კი იძულებული არიან პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდნენ ამისათვის მოუხერხებელ პირობებში. სასწავლებლებს აკლიათ სასწავლო სახელოსნოები, სპეციალური კაბინეტები.

ჯერ კიდევ ყველა სამინისტრო და უწყება, რომელთა საწარმოები საბაზოა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის, სათანადოდ როდი ზრუნავს თავისი სისტემისათვის მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადებაზე.

შეხვედრაზე შეეხნენ მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, რომლებიც არ ასრულებენ რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებს, რის შედეგადაც მეტად ცუდად ითვისებენ ახალი სასწავლებლების მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს.

სასწავლო-საწარმოო ბაზები საჭიროა არა მარტო მასობრივი პროფესიების მუშათა მოსამზადებლად, არამედ აგრეთვე მოსწავლეთა შრომითი ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, მათი პროფესიული და სოციალური ორიენტაციისათვის. ამიტომ განათლების ორგანოებმა უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ ეს ბაზები და პროფესიულ-სოციალური ორიენტაცია უკვე დაწყებითი კლასებიდანვე განახორციელონ. ეს გაზრდის იმ მოსწავლეთა რიცხვს, რომლებიც რეგულიანი სკოლის შემდეგ პროფტექნიკურ სასწავლებლებში განაგრძობენ სწავლას.

მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებისა და აღზრდის პრობლემის გადაჭრისას უნდა ვიზრუნოთ, რომ უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ისინი, მათ შორის პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები და დავამკვიდროთ წარმოებაში. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკები ყურადღებით უნდა სწავლობდნენ და პრაქტიკულად იყენებდნენ ლენინგრადელების, სვერდლოვსკელების და ყველა იმათ გამოცდილებას, ვინც დაამუშავა და განახორციელა წარმოებაში ახალგაზრდა მუშების დამკვიდრების ეფექტიანი სისტემა. მნიშვნელოვანი ეფექტი შეიძლება მოგვცეს პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა პერსონალური განაწილების შეწყობამ.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ამზადებენ ხვალინდელ მუშებს. მაშასადამე მათი საწარმოო სწავლება უნდა მიმდინარეობდეს ყველაზე თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით, საწარმოო პრაქტიკა ეწყობოდეს ყველაზე მოწინავე საწარმოებში. პრაქტიკის ხელმძღვანელობაში უნდა ჩავაბათ წამყვანი სპეციალისტები, საუკეთესო დამრიგებლები, წარმოების მოწინავენი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სასწავლებლების კოლექტივებს ჰქონდეთ მუდმივი კავშირი თავიანთ კურსდამთავრებულებთან, სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ მუშების, საამქროებისა და უბნების ხელმძღვანელთა შეფასებას ახალი შეკვლების მომზადების ხარისხის შესახებ, ამასთან ყოველივე ამას ითვალისწინებდნენ სწავლების პროცესში.

დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის შემდგომი სრულყოფა. თანამედროვე მუშა — ეს მარტო ჩინებული სპეციალისტი კი არა, ფართო ჰორიზონტის, მაღალი ინტელექტუალური დონის, დიდი კულტურის ადამიანია. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს ასეთი მუშის აღზრდაში უნდა დაეხმარონ სამეცნიერო დაწესებულებანი, მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირები. პროფტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი სულყოფა სერიოზულ მეცნიერულ კვლევას მოითხოვს. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში უფრო ფართოდ უნდა ჩაებან მეცნიერები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ეკონომისტები, ვინაიდან მათ დაუხმარებლად ძნელი იქნება მაღალი კვალიფიკაციის მუშათა მომზადებაში პროგრესის მიღწევა.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას დიდი მომავალი აქვს. უკანასკნელ წლებში განუზომლად გაიზარდა მისი ავტორიტეტი, მაგრამ კიდევ უფრო რომ ამაღლდეს იგი, პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონე არ უნდა განსხვავდებოდეს სკოლების კურსდამთავრებულთა დონისაგან. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული სასწავლებლების პედაგოგიურ კადრებზე, პროფესიულ ოსტატობაზე მათთვის დაკისრებული სახელმწიფო მნიშვნელობის საქმისათვის — ხვალინდელი მუშის აღზრდისათვის პასუხისმგებლობაზე.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა ემზადება ახალი წარმატებებით შეეგებოს სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. უეჭველია, ითქვა შეხვედრაზე, რომ პედაგოგების, საწარმოო სწავლების ოსტატების, სისტემის ყველა მუშაკის მრავალათასიანი კოლექტივი ძალ-ღონეს არ დაიშურებს მუშათა კლასის ღირსეული ცვლის აღზრდისა და სწავლების შემდგომი სრულყოფისათვის.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ლ. ქორთველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ო. შ. ქაჯაია და ე. ა. სეხნიაშვილი. (საქინფორმი).

...ეშელონს ეშელონი მიჰყვება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის კვალდაკვალ შრომითი ზაფხულის მარშრუტებით გაემართნენ სტუდენტთა სხვა რაზმებიც. უნივერსიტეტის დელეგატი ჯერ კიდევ გზაში იყო, როცა მის კვალდაკვალ არაშავიმწყანადაგიან ზონაში, მაგრამ უკვე ვოლგიდან ოლქში, გაგზავნეს ობილისის ამ უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზრდა მოხალისეთა კიდევ ერთი რაზმი. გასულ კვირას კი, რესპუბლიკის დედაქალაქი მებრძოლ-მშენებელთა ახალ რაზმებს აცილებდა.

ამ დღეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა სტუდენტთა საკავშირო სამშენებლო რაზმში გაგზავნა 1200 მომავალი ინჟინერი. უკვე დილით პოლიტექნიკოსთა დამკვრელური რაზმი გაფრინდა მდინარე გეატის ნაპირებისაკენ—პლანეტის პირველი კოსმონავტის სამშობლოში, რათა მოსკოვისა და ლენინგრადის, ყველა მოძმე რესპუბლიკის წარგზავნილებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა ქალაქ გაგარინის კეთილმოწყობაში. ნაშუადღევს თბილისის რკინიგზის ვაგზალში საზეიმოდ გააცილეს საქართველოს პშენებელ სტუდენტთა ზონალური რაზმი, რომელიც სპეციალური ეშელონით გაემგზავრა ნაბერეჟნე ჩელნში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 450 მებრძოლთან ერთად ამ რაზმში საქართველოს ფიზიკურტარის ინსტიტუტის 80 სტუდენტია. გზაში მათ შეუერთდება ქუთაისის პოლიტექნიკური და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიდევ 670 სტუდენტი.

მიტინგზე, რომელიც სტუდენტთა ზონალური რაზმის გაცილებას მიეძღვნა, მათ გულთბილად დაულოცეს გზა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ე. ჯაფარიძემ, ამავე ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ძიძიგურმა, თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ი. თევდორაძემ და სხვებმა.

მშენებელ სტუდენტთა გაცილებაში მონაწილეობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ქ. შარტავა. (საქინფორმი).

მეცხოველეობას — ჩვენი გულისყური!

დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასა და მისთვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას ხობის რაიონში. წელს აქ დაამზადებენ 12 ათას ტონა სენაჟს, 15 ათას ტონა სილოსს, თითქმის 6 ათას ტონა თივასა და 3 ათას ტონა ძირხვენს. ამის მეოხებით შესაძლებელი გახდება პირობით სულ პირუტყვზე დაამზადონ 31 საკვები ერთეული, გეგმით გათვალისწინებული 18 ერთეულის ნაცვლად. სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა პირველი კოლექტიური მეურნეობაა, რომელიც შეიქმნა ზუსტად 50 წლის წინათ. იგი უდიდესი გახდა რაიონში. მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე თავისი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მეურნეობამ მილიონი მანეთი წმინდა მოგება მიიღო.

შარშან კოლმეურნეობაში ყოველ ძროხაზე მიიღეს 2500 კილოგრამი რძე. საკვებმომპოვებელთა განკარგულებაშია 250 ჰექტარი მიწა, რომელზეც საკვები ბალახისა და სასილოსე სიმინდის ორ მოსავალს იღებენ. გვიან შემოდგომამდე პირუტყვი ყოველდღიურად მიიღებს დამატებითს საკვებს.

სურათზე: ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერები იღებენ ცირკველისა და შვრიის მოსავალს.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თიბავენ მთასა და ბარში

სვანეთი... მთაშიც მოვიდა ზაფხული, მაგრამ მაინც თოვლის თეთრი საფარეს ფარავს უშბას, თეთნულდს, შხარას... ქვევით კი ირგვლივ ფერად-ფერადი ყვავილებია. ყვავილოვან ფერდობებამდე გზა ვიწრო ორღობეებით იწყება და... ისმის მთიბავთა ლიღეო. ყიჟინა.

დღეს თიბვის დაწყების დღეა, წკრიალი გაუღდა ცელებს, ბალახის სურნელი გაბნეულა, სათიბები მოხატულ ხალიჩას ჰგავს.

სათიბიდან სათიბში გადავდიართ, ვინიშნავთ ციფრებს, ვკრებს, სახელებს... დღევანდელი დღის სუნთქვა იგრძნობა, დღევანდელ მთიბავთა საქმიანობა წყვეტს საკვების დაგროვების საქმეს. ისინი ბევრნი არიან, მაგრამ საქმეს ბოლო არ უჩანს, ისე ვრცლად გადაშლილა სათიბად გამზადებული სათიბები.

ამ დილის აღფრთოვანება ძალუმად იგრძნობა აგროუბნებზე. თიბვაზე დღეს დაბა მესტიის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პირველი ბრიგადა — 50 მთიბავი გამოსულა. მეორე ბრიგადაში 40 კაცია, ლენჯერის მესამე აგროუბანში — 25. ნაწილი კი სხვა სამუშაოს ასრულებს ფერმებში, მინდვრად — პირუტყვს ზაფხულის იალაღებზე აძოვებენ. საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ, რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა, აგიტატორებმა მზრუნველობა არ მოაკლეს მთიალაღელებს, დანარჩენი კი დაბის კეთილმოწყობით არის დასაქმებული.

— ჩვენი სამზადისი ფოცხების, ფიწლებისა და. ცელების მომარაგებით დაიწყო, — გვეუბნება პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ილდარ ხვისტანი.

მარტო ერთ დღეს პირველმა და მეორე ბრიგადებმა 14 ჰექტარი ბალახი მოთიბეს.

„აკო, სამსონ, გერონტი ჩართოლანებს, გულიკო, გრიშა, ჩიკო, შოთა, გელა ჯაფარიძეებს, ნოღარ და ოთარ გვარლიანებს, დათიკო ხოჯლანს, გრიშა რატიანს, მერაბ ნიკურიანს სათიბზე „რკალი შემოუვლიათ და-თიბავენ.

— ბალახი უკვე სიმწიფეშია შესული, დანაკარგი ნაკლებია, — გვიხსნის ბრიგადირი და თან ბალახის ბოჟჯს იღებს, ხელით გრეხს, — აი, ასე ვიგებთ, თიბვის დაწყება შეიძლება თუ არა. თუ ბალახმა წვენი გამოჰყო, ნაადრევია თიბვის დაწყება, მერე, როცა მოითიბება, თუ ამინდმა არ გვიმტყუნა, სამ დღეში დაიწყება თიბვის შეგროვება და მეცხოველეობის ფერმებში გადატანა.

— სათიბში რწყვის გარდა ორგანული და აზოტიანი სასუქებიც შეგვაქვს. მარტო წელს მესტიის აგროუბანში 180 ტონა ორგანული და 35 ტონა აზოტიანი სასუქი შეგვიტანეთ.

მეურნეობაში სულ 913 ჰექტარი სათიბია, სადაც უნდა დავამზადოთ 4014 ტონა თივა, — თქვეს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ანზორ ჯაფარიძემ და მთავარმა აგრონომმა ,ალარო გვარლიანმა.

— ეს წარმატებები ჩვენი მოწინავე მეცხოველეების — შრომის წითელი დროშის ორდენოსნის ,ალრო ფალიანის, ვერა, ნარგიზა, ,ალა ფალიანების, ეკა მუშკოდიანის, რობიზონ ,ახბერიძის, ჯოკო ,ვანტიანის, ,ალოდია ნაკანის და სხვათა მონაწილეების მიღებულად წარმოუდგენელიაო.

მესტიის საბჭოთა მეურნეობის აგროუბნების ბრიგადირებს ,ალოდია გოშთელიანსა და ბაგრატ ,ახბერიძეს სათიბში შეეხვედით. თიბვაში მეურნეობის თითქმის ყველა მუშაკი მონაწილეობს და რადგან ცელის გამოკვირვა — ლესვით ვიწყებთ, დღეს მოგვიანებით შევუდექით თიბვას — 9 საათზე. ისე კი თიბვას კარგი მუშა კაცი ცისკრის გახსნისას იწყებსო. — გვითხრეს მათ და ,ცდილობდნენ რაც შეიძლება ბევრი გვარი ჩაგვეწერა.

ლენჯერის აგროუბანი. იგი მესტიას ეკვრის. აქაურები 10 ჰექტარ ფართობს მოთიბავენ და 80 ტონამდე თივას დაამზადებენ. დღეში თითოეული მათგანი 1500-2000 კვადრატულ მეტრ ფართობზე თიბავს ბალახს. აი მთა,აკთა დინასტიაც: ,ალთ, ბაჯუ, გიულარ, გია, პარმენ, დაუ, მიედონ ფილფანები. მამა-შვილი სალარეულ და ერემია წიფიანები, ,ომკავშირელ ,ალაქ ბორის ძნელაძეში სვანური ,ოშკის ,ომპლექსის ერთ-ერთი შშენებელი, ,ომკავშირელი დათო ფილფანი, მოსწავლე ბ ი თემურ და ჯიმშერ ფილფანები... გვაწვდის სიას ბრიგადირი მათე ფილფანი და თან დასძენს, ხეშგალის და მთაწვალის ხეობაში ინონჯიანი, სამყურიანი და ძიძოიანი ბალახით მდიდარი ბუნებრივი სათიბებიც გველოდებაო.

აქედან ,ალგად მოჩანს დიდი ,ავკასიონის ქედი, ენგურის ხეობა. მზის სხივებზე ელვარებენ მთათა მწვერვალები. ცელებსაც თიბვაში პრიალი გაუდის. ითიბება მთის ყოთიანი ბალახი...

იზა ჯაჯვაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

...ეშელონი მიჰყვება

ბაქანი ავიასაწარმოს მუშაკთათვის ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები მომენტი ვაზაფხულზაფხულის ნავიგაციისათვის საფუძვლიანი მომზადებაა. გამართული მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრას, თუ რამდენად წესრიგშია საავიაციო ტექნიკური ბაზა, როგორ არის აღჭურვილი თვითმფრინავები, სათანადოდ არის თუ არა დაკომპლექტებული საწარმო მფრინავ ეკიპაჟთა კადრებით, როგორ მდგომარეობაშია დედამიწაზე მომსახურების საშუალებანი. ყოველივე ეს ხელს უწყობს მგზავრთა სანმიუშო მომსახურებას და უსაფრთხო ფრენას. ამიტომ, ცხადია, სეზონისათვის მზადებას ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენი პარტიული ორგანიზაცია.

შარშან ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე გაზაფხულ-ზაფხულის სეზონის ნავიგაციისათვის მზადების შესახებ ვმსჯელობდით. კომუნისტებმა ღრმად გააანალიზეს საქმის ვითარება. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო. მაგალითად, აეროვაგზალი მოუწესრიგებელი ჰქონდათ, ჭიანურდებოდა სარემონტო სამუშაოები, რასაც დაუდევრობასთან ერთად, ხელს უშლიდა ისიც, რომ დროულად არ გვაწვდიდნენ სარემონტოდ გამოყოფილ ფონდირებულ საშენ მასალებს. იყო სხვა წვრილმანი ნაკლოვანებანიც. კომუნისტების წინადადების საფუძველზე მიღებული დადგენილება სწორედ ამ ხარვეზების დაძლევის კონკრეტულ გზებს სახავდა და ამიტომ მას, რასაკვირველია, მკაცრი კონტროლი დაუწესდა.

მუშაობას გვირთულებს ერთი გარემოებაც: ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში სულ 206 კომუნისტია, რაც თავისთავად დიდი ძალაა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი დაქსაქსულნი არიან, ცალკეულ სამსახურებსა და ქვეგანაყოფებში მუშაობენ. საჭირო იყო მათი საქმიანობის კოორდინაცია. ამისათვის სპეციალურად შეექმენით კომისია, რომელსაც დაეკისრა მიღებული დადგენილების შესრულების ყოველდღიური შემოწმება, მასვე დაეკალა დახმარებოდა — მშენებლებს გამოყოფილი მასალების მიღებაში. ყოველივე ამის კარგი შედეგი მოჰყვა: ჩამორჩენა დავძლიეთ— სათანადოდ მოვამზადეთ აეროვაგზალი და ყოველი უბანი, გავაუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება დედამიწაზე, დროულად დავაკომპლექტეთ მფრინავთა ეკიპაჟების შემადგენლობაც. ამან, მგზავრთა სანმიუშო მომსახურების გარდა, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებიც განაპირობა — სოხუმის გაერთიანებული ავიასაწარმოს კოლექტივმა წარმატებით, ვადაზე ადრე შეასრულა მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალება; საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გამოვედით, რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში ორჯერ დავიკავეთ პირველი ადგილი, ხოლო ქალაქ სოხუმის სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის გაწილილ შეჯიბრებაში სამჯერ გავიმარჯვეთ. კიდევ უფრო კარგად დავიწყეთ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მეხუთე დამკვრელური წელი — მგზავრთა საუბნო ბრუნვისა და გადაყვანის გეგმა-ვალდებულებები გადაჭარბებით არის შესრულებული.

ვიდრე ამა თუ იმ საკითხს კრებაზე გავიტანდეთ განსახილველად, მას წინასწარ კომისია შეისწავლის ხოლმე. ამგვარი წინასწარი შემოწმების შემდეგ განვიხილეთ ამას წინათ პარტიული კომიტეტის სხდომაზე საანგარიშო-საარჩევნო კ

საკლესიასა და ეხალი ამბების საკაგენტოს კორესპონდენტები გვაცყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება ტელეფონის ჯუხრჯზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. შეერთებული შტატები ფაქტობრივად ეკლავ ისრაელის ანექსიონისტური პოლიტიკის დამცველის როლში გამოვიდა და ამით ცხადყო თავისი მტრული დამოკიდებულება მსოფლიო გაერთიანების პოზიციისადმი ახლო აღმოსავლეთის კოონფლიქტის ერთ-ერთ უმწვავეს საკითხში. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ უარი თქვა ეარი დაეჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში რეზოლუციისათვის, რომელშიც დადასტურებულია, რომ ტელ-ავივის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს იერუსალიმის გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ისტორიული ხასიათისა და სტატუსის შეცვლის მიზნით „არა აქვს კანონიერი ძალა და უნდა გაუქმდეს“.

უშიშროების საბჭო მოიწვიეს გამაჯიანური ქვეყნების ჯგუფის ოვნით ამასთან დაკავშირებით, რომ ისრაელის მმართველმა წრეებმა გამოაქვეყნეს იერუსალიმის ერაბული ნაწილის საბოლოო ანექსიისა და მისი ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადების გეგმები.

რეზოლუციაში, რომელიც მიღებულ 14 ხმით (ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავი შეიკავა), კვლავ აზგასმულია, რომ ოუციულმად საჭირო ბოლო ოიღოს ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების, მათ შორის ერუსალიმის ხანგრძლივ ოკუპაციას. იერუსალიმის სტატუსის ესაბამისად ტელ-ავივის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული „ღონისძიებანი“ დოკუმენტში დახასიათებულია როგორც „უხეში დარღვევა ჟენევის მეოთხე კონვენციისა ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“, როგორც „სეროიზული დაბრკოლება ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი, სამართლიანი და ტიკიკი მშვიდობის მიღწევის გზაზე“.

უთუო მხარდაჭერა, რასაც ვაინგტონი უწევს ტელ-ავივს, რომელიც ფეხქვეშ თელავს პალესტინის არაბი ხალხის ხელშეუხებელ უფლებებს, მკაცრად გააკრიტიკეს უშიშროების საბჭოს ოლმაზეზე. ისრაელს ანექსიონისტური კურსის განხორციელება თქვა, კერძოდ, ალეირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მ. ბუზარბიამ, შეუძლია მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მას ყოველმხრივ უჭერს მხარს იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მუდმივმა მეთვალყურემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ზ. დ. თერაზომ აღნიშნა თვალთმაქცური ხასიათი ამერიკის წარმომადგენელთა იმ განცხადებებისა, რომ ისინი „დაინტერესებული არიან“ ახლო აღმოსავლეთში საყოველთაო მშვიდობის მიღწევით. სინამდვილეში, ხაზი გაუსვა მან, ამერიკის შეერთებული შტატები აქეზებს ისრაელ-ეგვიპტის სეპარატულ მოლაპარაკებას, ხელს უწყობს ტელ-ავივს მიერ ისეთი კურსის განხორციელებას, რომლის მიზანია მიტაცებული არაბული ტერიტორიების ანექსია.

თვით ამერიკის პრესა არ მალავს, რომ ჯ. კარტერის ადმინისტრაციას, რომელიც უგულებელყოფს არაბი ხალხების ინტერესებს და პალესტინის არაბი ხალხის უფლებებს, უწონარეს ყოველსა ახლო აღმოსავლეთში ამერიკის იმპერიალიზმის სტრატეგიული ინტერესები ამოქმედეს. გარდა ამისა, თავისი ანტიარაბული პოზიციის აშკარა დემონსტრაციით იგი იმედოვნებს გადაიბიოოს გავლენანი სიონისტური ლობის ხმები პრეზიდენტის არჩევნების წინ.

...ირანის ამბები

თეერანი, 1 ივლისი. ირანის ...ოვლუციის ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ მწვავედ გააკრიტიკა ...ქვეყნის ხელმძღვანელობა მა...ოვის არაეფექტიანი მეფოდების ...ამო.

ფარსის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა ...ნისადრმა აღიარა ამ კრიტიკის ...ამართლიანობა და განაცხადა, ...რომ სამინისტროების არადამაკმაყოფილებელი საქმიანობის გამოძიების მიზნით შექმნილია სპეციალური კომისია სამი კაცის ...ემადგენლობით, რომლის ერთ-...ერთი წევრი მისი თხოვნით გახდა ხომეინის სიძე აიათოლა ეშ...რაქი.

...თავის მიმართ ხომეინის კრიტიკის პასუხად, ბანისადრმა გა...ცხადა, რომ პრეზიდენტს არ ...ეუძლია ადმინისტრაციული აპარატის საქმიანობაზე ზემოქმედების ბერკეტები და აღნიშნა, ...რომ საჭიროა სახელმწიფოს მეთაური აღჭურვონ შესაბამისი უფლებამოსილებით.

შეუძლებელია გაგრძელდეს ...ეთი მდგომარეობა, როცა ზემოქმედების ბერკეტები სხვების ...ელშია, ხოლო პასუხისმგებლობა მე მეკისრება, ხაზი გაუსვა ...პრეზიდენტმა.

...ეუწყებიან, რომ „დაწესებულების წმენდისა და გაჯანსაღების“ კამპანიის დროს, რომელიც ირანში ხომეინის მოწოდებით დაიწყო, დაითხოვეს 584 ...ანურობის მოხელე.

...ნიგნები და მკითხველები

ეკონომიკური სტრატეგია, ...რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა, მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს სამეურნეო მეცნიერების სრულყოფის, დაგეგმვის და მართვის უფრო მოხერხებული ფორმების შექმნის უზუსტესაყოფად. სამეურნეო მეცნიერების განვითარების ახალი ...ეტაპია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

სამეურნეო მექანიზმის დახასიათებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ურთიერთობათა პოზიტიურ შესწავლასა და ...ზოგადებას, რომელსაც თვით ...მექანიზმი ასახავს. აქ აუცილებელია გამოვყოთ ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც წარმოქმნება ისეთ ფორმებში, ...ორიც არის სახალხო-სამეურნეო გეგმა, ფასები, ფინანსები, კრედიტი და სხვ.

ფინანსები თავისი შინაარსით ...ციალიზმის ეკონომიკური ბაზის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, რაც უფრო მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავდება მისი თეორია, მით უფრო მეტად ...ება შესაძლებელი ფინანსურ-ბერკეტების პრაქტიკული გამოყენება. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური მართვის სრულყოფა ...ითიდღე წინა პლანზე აყენებს ეკონომიკურ, კერძოდ, ფინანსური ურთიერთობის ღრმა ...ცნიერულ შესწავლას.

...ერთულ საბჭოთა ეკონომიკურ, კერძოდ, ფინანსურ ლიტერატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შრომაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ვასილ ჩანტლაძის** ვრცელი მონოგრაფია **„ფინანსების თეორის საკითხები“**, რომელიც რუსულ ენაზე ეამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წიგნი ღრმა მეცნიერული შინაარსის ფუნდამენტური შრომაა. მონოგრაფია შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში განხილულია კაპიტალისტური ფინანსების არსი, ფინანსური მეცნიერების საგანი და მოცემულია ამ საკითხებზე არსებული ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა; მეორე ნაწილში მოცემულია სოციალიზმის ფინანსების თეორია, საბჭოთა ფინანსების ფუნქციების, მეცნიერების საგანი და ამ საკითხებზე სხვადასხვა კონცეფციის ანალიზი.

ყოველივე ეს განხილულია ლოგიკური თანამიმდევრობით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეხედულებათა საფუძველზე. შრომაში ნაჩვენებია სოციალისტური ფინანსების უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. ავტორი მეცნიერული წინდახედულებით აანალიზებს ყველა იმ ასპექტს, რომლებიც დამახასიათებელია სოციალისტური და კაპიტალისტური ფინანსებისათვის. იგი მთელი სიღრმით განაზოგადებს სოციალისტურ ფინანსურ ურთიერთობას და ამის საფუძველზე გამოაქვს მეტად საგულისხმო დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორ და რა მიმართულებით უნდა ვიყენებდეთ საფინანსო მექანიზმს სოციალისტური მეურნეობის მართვაში. ავტორი გვიჩვენებს კაპიტალისტური ფინანსების კლასობრივ-ანტაგონისტურ ხასიათს, იმას, რომ კაპიტალიზმის ფინანსური სისტემა ემსახურება მხოლოდ გაბატონებული კლასების გამდიდრებას მშრომელთა მასების ექსპლოატაციის საფუძველზე.

სარეცენზიო ნაშრომში საგანგებოდ არის განხილული ფინანსური კატეგორიების ადგილი კ. მარქსის ეკონომიკურ სისტემაში. ფინანსურ მეცნიერებაში ამ საბოთოდოლოგიურ საკითხს ასე სრულად და ღრმად პირველად განხილავს ვ. ჩანტლაძე. ზოგიერთთა შეხედულების საწინააღმდეგოდ ავტორმა დამაჯერებლად დაასაბუთა ფინანსების არსებობა კაპიტალიზმამდელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში.

მონოგრაფიაში მაღალ მეცნიერულ დონეზეა განხილული კაპიტალისტური სახელმწიფოების ფინანსების არსი, ფინანსური მეცნიერების საგანი, მოცემულია ფინანსების საგნის შესახებ ბურჟუაზიული განსაზღვრების კრიტიკა, საბჭოთა ფინანსების ფუნქციების, სოციალიზმის ფინანსების, მეცნიერების საგნის დასაბუთება, ამასთანავე ასახულია სსრ კავშირში და, კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკაში ფინანსური აზრის განვითარება. ნაშრომს ერთვის რეზიუმე გერმანულ ენაზე, აგრეთვე სახელთა საძიებელი ორ ენაზე.

ნაშრომში წინა პლანზე განსაკუთრებით წამოწეულია ფინანსური კატეგორიების დასაბუთება. უნდა აღინიშნოს, რომ კავშირის მასშტაბით ფინანსური კატეგორიების შესახებ სწავლულ ფინანსისტ-ეკონომისტთა შორის დღემდე მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, თუ რა უნდა მივაკუთვნოთ ფინანსურ კატეგორიებს და რა არა. ამ მიმართულებით ავტორის დასკვნები წინგადადგმული ნაბიჯია და ამ მხრივაც ნაშრომი ქების ღირსია. ამ ნაშრომის გაცნობით დაინტერესებული მკითხველი მიხვდება, რომ ავტორი ღრმად არის დაუფლებული სოციალიზმის ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებს და მათი ღრმა ცოდნის საფუძველზე გამოაქვს მეცნიერული დასკვნები სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარებაში ფინანსების როლის შესახებ.

სარეცენზიო ნაშრომი არა მარტო ზედმიწევნით აჯამებს საბჭოთა კავშირში ფინანსური თეორიების განვითარებას, არამედ ორიგინალური ნაშრომია, რომელშიც დაყენებული და მეცნიერული სიღრმით გადაჭრილია მრავალი ახალი საკითხი ფინანსების დარგში.

ვ. ჩანტლაძე თავის ნაშრომში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ისეთ საკითხებს, როგორიც არის საბჭოთა ფინანსების ფუნქციების განსაზღვრა, აქვე განხილავს საბჭოთა ფინანსურ ლიტერატურაში არსებულ კონცეფციებს. ამ საკითხთან დაკავშირებით წინამდებარე რეცენზიის ერთ-ერთ ავტორს (დოცენტ პ. ბერიშვილს) შესაძლებლობა ჰქონდა წელს დასწრებოდა მოსკოვის საფინანსო ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციას, რომელიც მიეძღვნა თემას „ღირებულებითი ბერკეტები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო მექანიზმის სისტემაში და მათი როლი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაში“.

ამ კონფერენციის მონაწილე მეცნიერმა ეკონომისტ-ფინანსისტებმა არსებითად მოიწონეს ვ. ჩანტლაძის დასახელებული ნაშრომი. ამასთან აღინიშნა, რომ იგი წინგადადგმული ნაბიჯია საბჭოთა ფინანსების მეცნიერების განვითარებაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერ ფინანსისტ-ეკონომისტთა შორის დიდი კამათია საბჭოთა ფინანსების ფუნქციების საკითხებზე. ვ. ჩანტლაძემ კი თავის ნაშრომში კრიტიკულად განიხილა და შეაფასა ეს სხვადასხვა კონცეფცია, ამასთანავე სცადა მეცნიერულად დაესაბუთებინა საბჭოთა ფინანსების ფუნქციები; მისი მოსაზრებით, საბჭოთა ფინანსებს ახასიათებს განმანაწილებლობითი, მეურნეობრივი ანგარიშიანობისა და საკონტროლო ფუნქციები. მეცნიერული პაექრობის დროს ვ. ჩანტლაძე ემყარება მარქსისა და ენინის შეხედულებებს საზოგადოებრივ წარმოებაში ფინანსების როლის შესახებ და მათ საფუძველზე სწორი დასკვნები გამოაქვს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა პირველად განიხილა ისტორიულად საქართველოს სსრ ფინანსური აზრის განვითარება მეთოდოლოგიური ასპექტით. დღემდე არსებულ ქართულ საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ მიმართულებით თავისი შეხედულებები არავის არ გამოუთქვამს. ეს ხარვეზი ვ. ჩანტლაძის მონოგრაფიამ შეავსო. ამ საკითხების შესწავლისას ავტორი საკითხისადმი კრიტიკულ მიდგომასაც იჩენს. იგი ყველა მოსაზრებასა და ტერმინს თავის ადგილს მიუჩენევს და მათ მარქსისტულ-ენინური მოძღვრების შინაარსზე დაყრდნობით გადმოსცემს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გამოხმაურებანი, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტმა და ფინანსებისა და კრედიტის კათედრამ წერილობით მიიღო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის გამოჩენილი ფინანსისტ-ეკონომისტებისაგან. წიგნის გამოსვლიდან რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ კათედრა და სარეცენზიო შრომის ავტორი დღესაც იღებენ მადლობის წერილებს, რომლებშიც დადებითად არის შეფასებული შრომა, რომელიც ვ. ჩანტლაძემ ფინანსების თეორიის საკითხების მეცნიერული დამუშავებისათვის გასწია; წერილობითი გამოხმაურებები მოვიდა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ყაზახიდან, ტაშკენტიდან, ირკუტსკიდან, ალმა-ათიდან, ტარტუდან, რიგიდან, ერევნიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან. ამ წერილებს ხელს აწერენ გამოჩენილი ფინანსისტ-ეკონომისტები: ლიტვის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ჟილენასი, პროფესორები ი. ზლობინი, დ. მოლიაკოვი, ა. ლიანდო, ა. ბირმანი, ცაკეინი, ირკუტსკის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი ვ. ივანიცკი, რ. ხეგელბერგი, ტოლუბაევი, ვ. გერაშჩენკო, ე. ვოზნესენსკი, გ. სტრაუსმანისი, მეშვეიანი და მრავალი სხვა.

ამას ისიც გვინდა დაესძინოთ, რომ დასახელებული ნაშრომის ავტორმა პირველად რუსულ ენაზე გააცნო ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველს ქართული ფინანსური აზრი და, ვფიქრობთ, ამით თავისი წვლილი შეიტანა საერთო-საკავშირო ფინანსური აზრის განვითარების ისტორიაში.

ჩვენი აზრით, სასურველი იყო ავტორს ნაშრომისათვის დაერთო საგანთა საძიებელიც. აღსანიშნავია, რომ დღეს დიდი მოთხოვნაა ამ ნაშრომზე, რომლითაც დაინტერესდა ჩვენი ქვეყნის ბევრი სპეციალისტი. სამწუხაროდ, იგი მცირე ტირაჟით (1000 ცალი) გამოიცა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეს ნაშრომი ქართულ ენაზეც გამოიცეს და, ცხადია, უფრო დიდი ტირაჟით.

ვ. ლებანიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

პ. ბერიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

...ეკონომიკური შემოქმედებითი კვლევის ნაყოფი

ნაშრომი ფინანსების თეორიის საკითხებზე

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

აცხადებს სტუდენტთა კონკურსგარეშე მიღებას საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან ჩამოთვლილი უმაღლესი სასწავლებლების დღის სწავლების განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. სამართლისმცოდნეობა, 2. რომანულ-გერმანული ენა და ლიტერატურა (ესპანური), 3. ისტორია, 4. პოლიტიკური ეკონომია, 5. მათემატიკა, 6. ფიზიკა, 7. ბიოფიზიკა, 8. ბიოქიმია.

მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში: 1. წიგნთმცოდნეობა და წიგნის ვაჭრობის ორგანიზაცია, 2. პოლიგრაფიული მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში: 1. რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის საავტომობილო გზათა ინსტიტუტში: 1. საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ-არქივო ინსტიტუტში: 1. ისტორიულ-არქივმცოდნეობა, 2. სახელმწიფო დაწესებულებებში დოკუმენტმცოდნეობა და სამმართველო შრომის ორგანიზაცია.

მოსკოვის მ. ტორეზის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში: 1. ინგლისური ენა, 2. გერმანული ენა, 3. ფრანგული ენა.

კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი, 2. საერთაშორისო სამართალი.

ნოვოსიბირსკის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში: 1. კავშირგაბმულობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

ყაზანის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. მეცნიერული კომუნიზმი.

ბელორუსიის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. რუსული ენა და ლიტერატურა.

მინსკის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში: 1. დეფექტოლოგია, 2 რუსული ენა და ლიტერატურა.

როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. რუსული ლიტერატურა.

დნეპროპეტროვსკის რუსეთთან უკრაინის შეერთების მე-300 წლისთავის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 1. რუსული ენა და ლიტერატურა.

შენიშვნა: ზემოჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის **მისაღები გამოცდები მოეწყობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში** (თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, მაღლივი კორპუსი).

მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტში: 1. დინამიკა და მანქანათა გამძლეობა, 2. საქალაქო ელექტრონული ტრანსპორტი.

მოსკოვის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში: 1. ტყავისა და ბეწვეულის ტექნოლოგია, 2. ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება.

მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში: 1. ლოკომოტივმშენებლობა.

მოსკოვის საავტომობილო გზათა ინსტიტუტში: 1. მართვის ავტომატიზებული სისტემები.

მოსკოვის ხორცისა და რძის მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში: 1. ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია.

მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში: 1. უქსოვადი საფეიქრო მასალების წარმოება.

მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში: 1. ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობა.

მოსკოვის ი. მ. გუბკინის სახელობის ნავთობქიმიური და გაზის მრეწველობის ინსტიტუტში: 1. ქიმიური წარმოების მანქანები და აპარატები.

მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში: 1. ქიმიური მანქანათმშენებლობა და აპარატმშენებლობა.

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის წმინდა ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტში: 1. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია.

მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში: 1. მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია.

მოსკოვის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში: 1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 2. მშენებლობის ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია, 3. შენობების, მოწყობილობის და ავტომატური სისტემების ტექნიკური ექსპლოატაცია.

მოსკოვის ჰიდრომელიორაციის ინსტიტუტში: 1. ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაცია.

ლენინგრადის ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: 1. ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ქიმიური ტექნოლოგია, 2. ცელულოზა-ქაღალდის წარმოების მანქანები და აპარატები.

ლენინგრადის ქიმია-ფარმაცევტიკის ინსტიტუტში: 1. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია.

ლენინგრადის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში: 1. ელექტრონულ-სამედიცინო აპარატურა.

კიევის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში: 1. ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია, 2. რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია.

კიევის საავტომობილო გზათა ინსტიტუტში: 1. საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია.

კიევის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: 1. მაღალი ძაბვების ტექნიკა.

ოდესის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში: 1. მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია, 2. ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია, 3. შენობების, მოწყობილობის და ავტომატური სისტემების ტექნიკური ექსპლოატაცია.

მოსკოვის ჰიდრომელიორაციის ინსტიტუტში: 1. ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაცია.

ლენინგრადის ქიმია-ფარმაცევტიკის ინსტიტუტში: 1. ფარმაცია.

შენიშვნა: ზემოჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის **მისაღები გამოცდები მოეწყობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში** (თბილისი, ქუჩა-ფშაველას პროსპექტი, 31).

მოსკოვის კ. ი. სკრიაბინის სახელობის სავეტერინარო აკადემიაში: 1. ზოოტექნია.

შენიშვნა: მოსკოვის კ. ი. სკრიაბინის სახელობის სავეტერინარო აკადემიაში შემსვლელთათვის **მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტში** (თბილისი, კრწანისი).

კიროვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში: 1. ბიოლოგია (სპეციალიზაცია-ნადირთმცოდნეობა).

შენიშვნა: კიროვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შემსვლელთათვის **მისაღები გამოცდები მოეწყობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში** (თბილისი, დიღომი, სამხედრო გზის მე-13 კმ.).

მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში: 1. სიმღერიანი ინსტრუმენტები.

შენიშვნა: მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში შემსვლელთათვის **მისაღები გამოცდები მოეწყობა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში** (თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8).

აღნიშნულ სპეციალობებზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. სამართლისმცოდნეობის, რუსული ენისა და ლიტერატურის, სახელმწიფო დაწესებულებებში დოკუმენტმცოდნეობისა და სამმართველო შრომის ორგანიზაციის სპეციალობებზე: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი);

2. მეცნიერული კომუნიზმის, ისტორიის, ისტორიულ-არქივმცოდნეობის სპეციალობებზე: სსრკ ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);

3. პოლიტიკური ეკონომიის და წიგნთმცოდნეობისა და წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე: მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

4. უცხო ენების სპეციალობებზე: შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი);

5. დეფექტოლოგიის სპეციალობაზე: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი);

6. საერთაშორისო სამართლის სპეციალობაზე: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), უცხო ენა (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი);

7. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ერთ-ერთი უცხო ენა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

8. ბიოფიზიკის სპეციალობაზე: ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

9. ბიოლოგიის სპეციალობაზე; ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

10. ბიოქიმიის სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

11. მათემატიკის, რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, პოლიგრაფიული მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობებზე: მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

12. ფიზიკის სპეციალობაზე: ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა და ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

13. ფარმაციისა და სტომატოლოგიის სპეციალობებზე: ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

14. ზოოტექნიკის სპეციალობაზე: ბიოლოგია (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

15. მანქანათა დინამიკისა და გამძლეობის, საქალაქო ელექტრული ტრანსპორტის, ლოკომოტივმშენებლობის, მართვის ავტომატიზებული სისტემების, ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და მოწყობილობის, ქიმიური წარმოების მანქანებისა და აპარატების, ქიმიური მანქანათმშენებლობისა და აპარატმშენებლობის, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის, მშენებლობის ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის, შენობების, მოწყობილობის და ავტომატური სისტემების ტექნიკური ექსპლოატაციის, ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაციის, ცელულოზა-ქაღალდის წარმოების მანქანებისა და აპარატების, ელექტრონულ-სამედიცინო აპარატურის, საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის, კინოაპარატურის, მაღალი ძაბვის ტექნიკის, ელექტრონული ხელსაწყოების, ხე-ტყისა და მერქნის გადასამუშავებელი მრეწველობის მანქანებისა და მექანიზმების, ელექტრონული გამომთვლელი აპარატურის კონსტრუირებისა და წარმოების, სამეურნეო ნაკეთობათა კონსტრუირების, ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების, შუქტექნიკის და სინათლის წყაროების, თბოენერგეტიკული პროცესების ავტომატიზაციის სპეციალობებზე: მათემატიკა (ზეპირი და წერა), ფიზიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

16. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ტექნოლოგიის, ცელულოზა-ქაღალდის წარმოების ქიმიური ტექნოლოგიის, ტყავისა და ბეწვეულის ტექნოლოგიის, ხორცის და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგიის, უქსოვადი საფეიქრო მასალების წარმოების, მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიის, რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგიის, შაქროვან ნივთიერებათა ტექნოლოგიის, ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვის, ბუნებრივი და ჩანადენი წყლების გაწმენდის სპეციალობებზე: ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);

17. სიმებიანი ინსტრუმენტების სპეციალობაზე: გამოცდა სპეციალობაში ა) საკონცერტო პროგრამის შესრულება და კოლოკვიუმი; ბ) სოლფეჯიო (წერა და ზეპირი); გ) ჰარმონია (წერა და ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი).

შენიშვნა: **სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის 1977 წლის 10 მაისის № 492 ბრძანების შესაბამისად კონკურსგარეშე მიღების წესით უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე ყველა საგანში მიიღებენ ნიშნებს — „ხუთს“ ან „ოთხს“.**

ოქროსა და ვერცხლის მედლით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლდამთავრებულ ნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას შესაბამისი სპეციალობისათვის მითითებულ მხოლოდ პირველ საგანში. გამოცდის „ხუთზე“ ჩაბარებისას ისინი თავისუფლდებიან მომდევნო გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხს“ მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა საგანში.

აბიტურიენტი, რომელიც გამოცდაზე მიიღებს შეფასებას „ორს“, ეთიშება კონკურსს, ხოლო „სამს“ მიღებისას, სურვილის მიხედვით აგრძელებს გამოცდას რუსპუბლიკის იმ უმაღლეს სასწავლებელში შესაბამის სპეციალობაზე კონკურსში მონაწილეობისათვის, სადაც შეიტანა საბუთები.

ექსპერიმენტი (ორი საგნის ჩაბარების წესი) არ ხორციელდება.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში წერითი მისაღები გამოცდა ეწყობა თხზულების სახით (ის პირები, რომლებმაც რუსული ენა საშუალო სასწავლებელში ისწავლეს ეროვნული სკოლის პროგრამის მოცულობით, დაწერენ წერითხული ტექსტის შინაარსს. აღნიშნული წესი არ ვრცელდება დეფექტოლოგიის, მეცნიერული კომუნიზმის, სახელმწიფო დაწესებულებებში დოკუმენტმცოდნეობის და სამმართველო შრომის ორგანიზაციის, სამართლისმცოდნეობის, საერთაშორისო სამართლის, ისტორიის, ისტორიულ-არქივმცოდნეობის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის, უცხო ენების, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე შემსვლელებზე).

მისაღები გამოცდები ეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.













კონკურსი გაიმართება სპეციალობების მიხედვით. ჩარიცხვა იწარმოებს მოქმედი წესების შესაბამისად. სპეციალობებზე: სამართლისმცოდნეობა, მეცნიერული კომუნიზმი, პოლიტეკონომია, როგორც წესი, მიიღებიან სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები.

საბუთების შეტანა იწარმოებს 31 ივლისამდე იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ეწყობა მისაღები გამოცდები.

გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.

განცხადებას უნდა დაერთოს: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მომუშავეთათვის), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ხუთი ფოტოსურათი (უქუდოდ 3X4).

განცხადების ფორმა გაიცემა მიმღებ კომისიაში. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს რუსულ ენაზე. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის მიმღებ კომისიას.

თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1980-1981

სასწავლო წლისათვის დღის და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

დღის განყოფილება
(II კურსზე, საშუალო განათლების ბაზაზე)

1. სახელმწიფო ბიუჯეტი — (სპეციალიზაცია-ბიუჯეტის შედგენა-შესრულება და სახელმწიფო შემოსავალი) ამზადებს ფინანსისტებს საფინანსო ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის.

2. საბიუჯეტო აღრიცხვა — (მათ შორის რუსული ჯგუფი) ამზადებს ბუღალტერ-ფინანსისტებს საფინანსო ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სასოფლო (სადაბო) საბჭოების ცენტრალიზებული ბუღალტერიისათვის.

3. სახელმწიფო დაზღვევა— ამზადებს ფინანსისტებს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისათვის.

4. აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახელმწიფო ბანკში — (სპეციალიზაცია-აღრიცხვა სახელმწიფო ბანკში და აღრიცხვა შემნახველ სალაროში) — ამზადებს ბუღალტრებს სახელმწიფო ბანკის განყოფილებებისათვის, ბუღალტრებს და კონტროლიორებს შემნახველი სალაროებისათვის.

5. საბუღალტრო აღრიცხვა — ამზადებს ბუღალტრებს მრეწველობის ცალკეული დარგებისათვის (მანქანათმშენებლობის, კვების, მსუბუქი მრეწველობის და სხვ.).

დაუსწრებელი განყოფილება
(III კურსზე, საშუალო განათლების ბაზაზე, ქართული და რუსული სექტორები)

1. სახელმწიფო ბიუჯეტი (სპეციალიზაცია-ბიუჯეტის შედგენა-შესრულება და სახელმწიფო შემოსავალი);

2. საბიუჯეტო აღრიცხვა;

3. სახელმწიფო დაზღვევა;

4. აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახელმწიფო ბანკში (სპეციალიზაცია-აღრიცხვა სახელმწიფო ბანკში და აღრიცხვა შემნახველ სალაროში);

5. საბუღალტრო აღრიცხვა.

ტექნიკუმში მიიღებიან: დღის განყოფილებაზე — 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, **ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე** — ასაკის განუსაზღვრელად.

ტექნიკუმში ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს ორივე განყოფილების შემდეგ საგნებში: ქართულ სექტორზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება); 2. მათემატიკაში (ზეპირი), ხოლო რუსულ სექტორზე შემსვლელნი: 1. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩარიცხვისა და მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ უკონკურსოდ ჩარიცხვის წესები იგივეა, რაც ყველა ტექნიკუმისათვის.

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე. **დღის განყოფილებაზე 14 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე — 10 აგვისტომდე,** განცხადებას ერთვის შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), საექიმო ცნობა (ფორმა № 286), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ვისაც აქვს პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4).

პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან სამხედრო აღრიცხვის ბარათი (წვევამდელთათვის) უნდა წარმოადგინოთ პირადად.

იმ პირებს, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ 1980 წლამდე, მოეთხოვებათ სკოლის დამთავრების შემდეგ ყოველი წლისათვის სულ ცოტა 6 თვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

დაუსწრებელი სწავლ ე ბ ი ს განყოფილებაზე მიიღებიან ის პირნი, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის დარგში და წარმოადგენენ შრომის წიგნაკიდან ამონაწერს, შემოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.

ჩარიცხული მოსწავლეები ვალდებულნი არიან 27-დან 31 აგვისტომდე წარმოადგინონ ტექნიკუმში სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს **დღის განყოფილებაზე 15-დან 22 აგვისტომდე, დაუსწრებელ განყოფილებაზე—11-დან 20 აგვისტომდე** ქ. თბილისში.

ტექნიკუმის დღის სწავლების განყოფილებაზე ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით არსებული წესის შესაბამისად.

მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის ქ. № 19 (სბურთალო).

ფოთის საზღვაო სკოლა

აცხადებს კურსანტთა მიღებას 1980-81

სასწავლო წლისათვის

სკოლა ამზადებს კვალიფიციურ კადრებს საზღვარგარეთ ცურვის გემებზე სამუშაოდ შემდეგი სპეციალობებით: **პირველი კლასის მოტორისი, პირველი კლასის მოტორისტი, გემის ელექტრიკოსი, სამაცივრო დანადგარების მემანქანე.**

სკოლაში მიღებიან 8 კლასისა და საშუალო განათლების მქონე მამაკაცები, ამასთან მხოლოდ ისინი, ვინც დემობილიზებულია საბჭოთა არმიის რიგებიდან და ჯანმრთელია ოკეანეში სამუშაოდ.

სწავლის პერიოდში კურსანტები იმყოფებიან სახელმწიფოო ხარჯზე, ეძლევათ სამჯერადი კვება, საცხოვრებელი ბინა, ტანსაცმელი, სტიპენდია 17 მანეთი.

სწავლის ხანგრძლივობა 1 წელია.

განცხადების მიღება წარმოებს 25 აგვისტომდე.

მსურველნი სკოლაში მიიღებიან უგამოცდოდ, გასაუბრებით.

კურსანტები, რომლებიც საზღვაო სკოლას დაამთავრებენ წარჩინებით, თუ სურვილი ექნებათ, გაიგზავნებიან საზღვაო უმაღლეს სასწავლებლებში საბაზო ორგანიზაციის ლიმიტით.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, ატესტატი (განათლების შესახებ (დედანი და ასლი 3 ცალი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან— (3 ცალი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286) — 1 ცალი, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (3 ცალი), 6 ცალი ფოტოსურათი (ზომა 5X6), ცნობა ფსიქონევროლოგიური, ენერგიული და ტუბდისპანსერიდან (1 ცალი).

აბიტურიენტებმა მიმღებ კომისიაში უნდა გამოცხადდნენ 1980 წლის 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

მისამართი: ქ. ფოთი, **კოლონკაის ქ. № 2**

აბიტურიენტებმა პირადად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: პასპორტი (ამონაწერი საცხოვრებელი ადგილიდან), სამხედრო ბილეთი (მოსწნული აღრიცხვიდან), შრომის წიგნაკი, პარტიის, კომკავშირის ბილეთები (აღრიცხვიდან მოხსნილი პირადი ბარათები).

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. ფოთი, კოლონკაის ქ. № 2, საზღვაო სკოლა, ტელეფონი 35-19, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 47 „საქთეევზმრეწვის“ კადრების განყოფილება. ტელეფონი 22-55-02.

კომბაინების, ტრაქტორების, ავტომანქანის მძღოლების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების საყურადღებოდ!

თავთავიანი კულტურების მომწიფებისა და მოსავლის აღების პერიოდში აუცილებლად განახორციელეთ მაქსიმალური ღონისძიებანი, რათა დაიცვათ მოსავალი ხანძრისაგან.

ამ დროს განსაკუთრებული სიფხიზლე გმართებთ!

არ შეიძლება თამბაქოს მოწევა და კოცონის გაჩაღება პურეულის მასივების ახლოს, კალოებთან, ზვინებთან, მოსავლის თავმოყრისა და შენახვის სხვა ადგილებში.

ტრაქტორების, კომბაინების, ავტომანქანების საწვავ-საპოხით გასაწყობად აუცილებლად გამოიყენეთ განცალკევებული, შეზღუდული ადგილი.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები აღჭურვილი უნდა იყოს ნაპერწკლმაქრობებით და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებო!

უზრუნველყავით სადღეღამისო მორიგეობა პურეულის მასივებში და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე სახლოო ღონისძიებებისაგან დასაცავად.

თავთავიანი კულტურების მომწიფებისა და მოსავლის აღების პერიოდში სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ყველა საკითხზე საკონსულტაციოდ და დახმარებისათვის მიმართეთ სახანძრო დაცვის ორგანოებსა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ადგილობრივ საბჭოებს.

სოფლის მშრომელებო!

იყავით ფრთხილად!

დაიცავით მოსავალი ცეცხლისაგან!

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო, მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1980-81 სასწავლო წლისათვის დასწრებული სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტი:

აგრონომია (ქართული და რუსული სექტორები);

დეკორატიული მებაღეობა (ქართული სექტორი);

აგრომელიორაცია (ქართული სექტორი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტი:

(ქართული და რუსული სექტორები).

3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტი:

(ქართული და რუსული სექტორები).

ინსტიტუტში შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ა) სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე (აგრონომია, დეკორატიული მებაღეობა, აგრომელიორაცია) — ბიოლოგია (ზეპირი)* ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

ბ) სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — ქიმია (ზეპირი)*, ფიზიკა (წერა), მათემატიკა (ზეპირი).

გ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე — მათემატიკა (წერა*, ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

ყველა შემსვლელი აბარებს წერითს გამოცდას თხზულების სახით: ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ოქროს (ვერცხლის) მედალოსნები, აგრეთვე საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებიც მიღებული აქვთ წარჩინების დიპლომები, აბარებენ მისაღებ გამოცდას მხოლოდ ერთ საგანში, რომელიც ტექსტში აღნიშნულია ვარსკვლავით. აღნიშნულ საგანში შეფასება „ხუთის“ მიღების შემთხვევაში, ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო შეფასების „ოთხის“ ან „სამის“ მიღების შემთხვევაში, აბარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები მოეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 1980 წლისათვის დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

საკონკურსო შერჩევა ინსტიტუტში შემსვლელთათვის იწარმოებს 1980 წლისათვის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად, მიღებ გამოცდებზე მიღებული ქულების საერთო რაოდენობისა და საშუალო განათლების დოკუმენტაციიდან ყველა დისციპლინის ნიშნების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

განცხადება მიღების შესახებ მსურველებმა უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე, ერთიანი ფორმის მიხედვით.

განცხადებას თან ერთვის: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, რომელსაც იძლევიან წარმოების (დაწესებულების) ხელმძღვანელები, კოლმეურნეთა გამგეობები, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და სხვა საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომელთაც არა აქვთ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება სკოლის ხელმძღვანელობიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, სადაც ისინი სწავლობდნენ; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, ამასთან ნაჩვენები უნდა იყოს კალენდარული წლისათვის დაწესებული გამომუშავების მინიმუმი.

იმათ, ვინც უმაღლეს სასწავლებელში საშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში შედის, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სულ ცოტა 6 თვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი ყველა იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ).

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას. იმათგან, ვინც წარმატებით ჩაბარა მისაღები გამოცდები კონკურსით, პირველ რიგში ჩაირიცხებიან:

წარმოების მოწინავენი, რომლებსაც სასწავლებლად გზავნი